მარად უკვდავი ვაჟა

ხვალ მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით
დიდი ქართველი პოეტის **ვაჟა-ფშაველას** დაბადების ასი წლისთავს
აღნიშნავს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

№ 167 (12081)
სამშაბათი,
25
ივლისი
1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

ვაჟა-ფშაველა (1890 წ.)

ფოტო ალ. როინიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მსოფლიოში უკეთესი პროდუქციისათვის

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში სამრეწველო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და საიმედოობის გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ

ისწრაფვიან რა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას, რესპუბლიკის მშრომელებმა გაშალეს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის, საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში და მშენებლობებზე გაიზარდა მასების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის ძვირფასი წამოწყება, რომელმაც მხარი დაუჭირა ქალაქ მოსკოვის მშრომელთა თაოსნობას, რაც მიზნად ისახავს ბრძოლას პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, სამრეწველო ნაწარმის საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდებისათვის, და შეაფასა იგი როგორც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოვლინება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მოაწყოს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ქარხნებისა და ფაბრიკების მსოფლიოში უკეთესი პროდუქციისათვის და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის, ცალკეული კვანძების კონსტრუქციის გაუმჯობესების, კვანძებისა და დეტალების ცვეთამედეგობისა და სიმტკიცის გადიდების გზით მიაღწიოს გამოშვებული ავტომობილების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, მათი საიმედოობის გადიდებასა და გამოსადეგობის ვადის გახანგრძლივებას.

ჭუთაისელ ავტომობილმშენებელთა კოლექტივის თაოსნობის ფართოდ გავრცელება რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში და მშენებლობებზე გამოიწვევს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ აღმავლობას, უზრუნველყოფს ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას, საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში და მშენებლობებზე მოაწყონ ფართო განხილვა და გაავრცელონ სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა, რომელმაც იკისრა სამრეწველო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და საიმედოობის გადიდების სოციალისტური ვალდებულებანი. (საქდესი).

ახალი ოპერა «მინდია»

ხვალ მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს, რომელმაც თავისი პოეტური გენიით გაამდიდრა მსოფლიო პოეზიის საგანძური.

ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღისათვის მშვენიერი საჩუქარი მოამზადა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა, რომელმაც 23 ივლისს უჩვენა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“ პრემიერა. ეს პირველი ოპერაა ნიჭიერი კომპოზიტორისა, დიდი ფორმის მთელ რიგ სიმფონიურ ნაწარმოებთა ავტორისა, რომლებიც პოპულარული გახდა ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

ოპერის ლიბრეტო ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით შექმნა დრამატურგმა რ. თაბუკაშვილმა.

მთავარი პარტიები შეასრულეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ (მინდია), საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ო. კუზნეცოვამ (მზია), სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა პ. ამირანაშვილმა (ჩალხია), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. შუშანიამ (ხევისბერი), მსახიობმა თ. ლაფერაშვილმა (მაცნე).

სპექტაკლის დირიჟორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, დამდგმელი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, მხატვარი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ფ. ლაპიაშვილი, მთავარი ლოტბარი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ტერიშვილი.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

პრემიერას დაესწრნენ **ვ. პ. მეჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი.** (საქდესი).

სცენა ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიადან“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა მ. ტორეზთან და ჟ. ქივკოვთან

სოფია, 23 ივლისი. (საკდესი). დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს მ. ტორეზს და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ტ. ჟივკოვს, რომლებიც სოჭის რაიონში ისვენებენ.

შეხვედრამ ძმური მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

მიტინგი კრემლში

მოსკოვი, 24 ივლისი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და განის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის მიტინგი.

მიტინგი გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა, რომელიც ყველა მოსკოველის სახელით გულითადად მიესალმა მამაცი, თავისუფლებისმოყვარე განიდან ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს.

დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მხურვალედ მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და დოქტორ კვამე ნკრუმას სიტყვები.

იური გაგარინი კუბაში გაფრინდა

მოსკოვი, 23 ივლისი. (საკდესი). მსოფლიოს პირველი კოსმონავტი საბჭოთა კავშირის გმირი იური გაგარინი დღეს ახალ მოგზაურობაში წავიდა მეგობრებთან. კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ და კუბის მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტმა კოსმონავტი საპატიო სტუმრად მიიწვიეს კუბელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — 26 ივლისის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ახორციელებენ რა შვიდწლიანი გეგმის დიდებულ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა, და ეგებებიან რა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობასა და სკკპ XXII ყრილობას, საქართველოს სსრ ეშრომელებმა 1961 წლის პირველ ნახევარში ახალ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

I.

მრეწველობა და ტრანსპორტი

რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1961 წლის პირველი ნახევრის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ — 104 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 104 პროცენტით.

სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც განლაგებულია აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 107 პროცენტით, აჭარის ასსრ ტერიტორიაზე — 103 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — 106 პროცენტით და ქალაქ თბილისში — 104 პროცენტით.

საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1960 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 3 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობისა — 2 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების მიერ საერთო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1961 წლის I ნახევრის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების პროცენტი	1961 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1960 წლის I ნახევართან შედარებით
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	105	107
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	104	113
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	103	138
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	91	93
საქართველოს ნავთობის ტრესტი	104	93
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	106	102
ჰიდროსის მარგანეცის ტრესტი	104	96
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	104	85
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	108	108
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	105	85
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	102	111
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	101	111
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	103	102
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	101	102
საქართველოს ჩაის ტრესტი	108	108
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	104	95
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	106	107
საქართველოს ცხიმეულ-ეთერზეთის ტრესტი	103	94
საქართველოს პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ტრესტი	105	103
საქართველოს კონსერვტრესტი	115	128
სამტრესტი	104	81
საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი	103	91
საქართველოს ყველისა და კარაქის მრეწველობის ტრესტი	97	107
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	85	86

ზოგიერთმა საწარმომ და ტრესტმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა რა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა, ვერ შეასრულა ცალკეულ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით. მაგალითად, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულმა ქარხანამ ვერ შეასრულა გლინულის, თუჯის სხმულის, ცხელი ნაჭედობის გაწოვების გეგმა; ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხანამ — თუჯის სხმულისა; ქარხანა „ელექტროშედუღებამ“ — ელექტროშესადუღებელი მოწყობილობისა; ზესტაფონის ქარხანა „საქართველოს კაბელმა“ — საყენებელი საგნისა და სანათი ზონარისა, თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ — მსხვილი, მძიმე და უნიკალური ჩარხებისა; ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ — სამსხმელო ოხეკადი ფოლადისა; ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანამ — პერსაცხობი და საკონსერვო მრეწველობის მოწყობილობისა; № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკამ — ნატურალური ტყავის ფეხსაცმლისა; ჭუთაისის აბრეშუმკომბინატმა — ყაჭისა და აბრეშუმის ხამეულისა.

თუმცა სახალხო მეურნეობის საბჭომ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ საწარმოთა მნიშვნელოვანმა რიცხვმა ვერ უზრუნველყო გეგმის შესრულება. სახალხო მეურნეობის საბჭოს 537 საწარმოდან წლის პირველი ნახევრის გეგმა არ შეუსრულებია 80 საწარმოს, ანუ საწარმოთა საერთო რაოდენობის 15 პროცენტს. მაშინ როცა 1960 წლის პირველ ნახევარში არ შეუსრულებია 9 პროცენტს.

საკავშირო-რესპუბლიკურმა და რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს. მათ შორის მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა — 107 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა — 103 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებმა — 135 პროცენტით, განათლების სამინისტროს საწარმოებმა — 92 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოებმა — 115 პროცენტით, კულტურის სამინისტროს საწარმოებმა — 93 პროცენტით. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა — 101 პროცენტით, დამზადებათა სამინისტროს საწარმოებმა — 112 პროცენტით.

თუმცა ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების 1961 წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ გეგმა ვერ შეასრულეს თბილისის გაზშენის ტრესტმა, აჭარის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატმა, ბოგანოვკის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, კასპის, ყვარლის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მარნეულის, ონის, საჩხერის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ცაგერის, წითელწყაროს, წულუკიძის, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს ადგილობრივი მეურნეობის კომბინატებმა, რაც შეადგენს კომბინატების საერთო რიცხვის 32 პროცენტს.

მრეწველობის ცალკეული დარგების საერთო პროდუქციის წარმოების ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია 1961 წლის I ნახევარში პროცენტობით 1960 წლის I ნახევართან შედარებით
შავი და ფერადი მეტალურგია	105
სათბობის მრეწველობა	99,6
ენერგეტიკული მრეწველობა	93
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	120
ქიმიური მრეწველობა	113
საშენ მასალათა წარმოება	115
სატყეო ქაღალდისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობა	111
მსუბუქი მრეწველობა	104
აქედან საფეიქრო მრეწველობა	102
კვების მრეწველობა	97
აქედან:	
ხორცის მრეწველობა	91
ყველისა და კარაქის მრეწველობა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	107
მეღვინეობა	81
ჩაის მრეწველობა	108
თამბაქოს მრეწველობა	95
კონსერვის მრეწველობა	159

საბრეწველო პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება მთლიანად ნატურალური გამოხატულებით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1961 წლის I ნახევარში	1961 წლის I ნახევრის ბევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1961 წლის I ნახევრის პროცენტობით 1960 წლის I ნახევართან შედარებით
ქვანახშირი — ათასი ტონა	1.298	103	91
კოქსი — ათასი ტონა	309	99,6	82
თუჯი — ათასი ტონა	383	106	105
ფოლადი — ათასი ტონა	590	103	107
ნაგლინი — ათასი ტონა	437	105	108
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატ-საათი	1.752	91	98
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	1.949	102	104
სატვირთო ავტომობილები — ცალი	3.015	100,5	100,5
ცემენტი — ათასი ტონა	644	102	108
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	24	81	106
აგური (დამხმარე საწარმოთა წარმოების გარდა) — მილიონი ცალი	167	91	115
ქაღალდი — ათასი ტონა	17	102	103
ბამბის ქსოვილები — ათასი გრძივი მეტრი	23.832	109	95
შალის ქსოვილები — ათასი გრძივი მეტრი	2.505	100,3	100,6
აბრეშუმის ქსოვილები — ათასი გრძივი მეტრი	9.517	98	99,6
წინდები — ათასი წყვილი	4.294	98	97
ტრიკოტაჟის საცვლები — ათასი ცალი	3.706	91	98
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	1.850	105	115
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი წყვილი	5.406	99,5	102
პიანინო და როიალი — ცალი	1.810	100,6	119
თევზის ჭერა — ტონა	1.982	60	46
ხორცი I კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით — ტონა	7.876	105	78
კარაქი (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის შინაწარმოების გარდა) — ტონა	557	95	96
ყველი (კოლმეურნეობათა წარმოების გარდა) — ათასი ტონა	4,6	101	99
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	5,7	102	99
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	9,4	102	98
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	6,1	102	95

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

	წარმოებულია 1961 წლის I ნახევარში	1961 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1961 წლის I ნახევარი პროცენტი 1961 წლის I ნახევრისთვის
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	26,0	123	149
ჩაი ნატურალური ხარისხოვანი — ტონა	4.020	103	107
ბაპიროსი და სიგარეტი — მილიონი ცალი	7.457	101	98
ყურძნის ღვინო — ათასი დეკალიტრი	2.568	103	77
საპონი (სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში) — ათასი ტონა	6,7	98	96

რესპუბლიკაში გაუმჯობესდა სიმძლავრეთა გამოყენება. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულმა ქარხანამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბრმმელების მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი (კუბური მეტრი ტონა თუჯზე), რომელმაც 1961 წლის პირველ ნახევარში 0,662 შეადგინა 1960 წლის შესაბამისი პერიოდის 0,701-ის ნაცვლად.

გადიდდა აგრეთვე ფოლადის მიღება მარტენის ღუმელების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე, რამაც შეადგინა 7,45 ტონა 1960 წლის შესაბამისი პერიოდის 7,25-ის ნაცვლად.

შრომის ნაყოფიერების გეგმა რესპუბლიკაში მრეწველობაში 1961 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 102 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 102 პროცენტით. მაგრამ შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკაში 1961 წლის პირველ ნახევარში 1960 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 0,9 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 0,8 პროცენტით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო, სამრეწველო-საწარმოები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები განაგრძობდნენ ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებას. წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვა ხორციელდებოდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი მონაწილეობით, რომლებმაც წლის პირველ ნახევარში შეიტანეს 10 ათასზე მეტი წინადადება. წარმოებაში დაინერგა 6 ათასამდე წინადადება, რომლებითაც წლიური ეკონომია გამოანგარიშებულია 4 მილიონზე მეტი მანეთი.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა, დაწესებული 1961 წლის პირველი ნახევრისათვის, შესრულებულია.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა თუჯისა და ფოლადის სხმულის კოოპერირებულ მიწოდებათა ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს. მაგრამ თუჯის სხმულის შიგარესპუბლიკურ მიწოდებათა გეგმა ვერ შეასრულეს თბილისის საამწეო ელექტროძრავების ქარხანამ და ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანამ, ხოლო სარესპუბლიკათშორისო მიწოდებათა — ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ. ფოლადის სხმულის მიწოდების გეგმა ვერ შეასრულა ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ, ხოლო ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას ფოლადის სხმულის მიწოდება წლის პირველ ნახევარში არ დაუწყია.

არ არის შესრულებული აგრეთვე ტვიფრისა და ნაკედის მიწოდების გეგმა. სარესპუბლიკათშორისო მიწოდებებში ტვიფრის მიწოდების გეგმა ვერ შეასრულა ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ, ნაკედისა — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანამ.

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტონობით ტვირთის გაგზავნის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, აქედან ქვანახშირისა — 106 პროცენტით, შავი ლითონებისა — 144 პროცენტით, ნავთობის ტვირთისა — 124 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 104 პროცენტით, ხე-ტყის ტვირთისა — 108 პროცენტით.

შესრულებულია აგრეთვე ვაგონების საშუალო სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა — 104 პროცენტით და ვაგონების საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვისა — 101 პროცენტით. სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დრო შემცირდა 0,02 დღეღამით. ერთ სატვირთო ოპერაციაზე ვაგონების დგომის საშუალო დრო გადიდდა 0,3 საათით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით 1961 წლის პირველ ნახევარში გადაზიდულია 24 მილიონ ტონა ტვირთი, რაც გადაზიდვის ნახევარი წლის გეგმის 90 პროცენტს შეადგენს. 1961 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 295 მილიონ ტონა-კილომეტრი — ტვირთბრუნვის ნახევარი წლის გეგმის 86 პროცენტი. 1960 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთის ტონობით გადაზიდვა გაიზარდა 3 პროცენტით, ტონა-კილომეტრობით — 6 პროცენტით.

1961 წლის პირველი ნახევრის გეგმა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის ავტობუსებმა შეასრულეს: მგზავრთა გადაყვანისა — 100 პროცენტით, მგზავრ-კილომეტრისა—98 პროცენტით: გადაყვანილია 108 მილიონი მგზავრი და შესრულებულია 655 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მგზავრების გადაყვანა გადიდდა 9 პროცენტით, ხოლო მგზავრბრუნვა — 12 პროცენტით.

II.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სოფლის მეურნეობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და ამიერკავკასიის თათბირის გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი — ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობაში და გაადიდონ 1961 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოდენობა.

საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს, მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მათ შორის 1961 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურების ნათესმა ფართობებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეადგინა 668 ათასი ჰექტარი.

დათესილია მარცვლეული და პარკოსანი კულტურები (მათ შორის სიმინდი სრული სიმწიფის მარცვლის მისაღებად) 396,7 ათასი ჰექტარი, ანუ 6,2 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

უფრო მეტი, ვიდრე 1960 წელს, დათესა სიმინდი სამარცვლედ და მწვანე მასისათვის, მზესუზნარა და კარტოფილი.

გაფართოვდა პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხლის ნათესები.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესეს 44 ათასი ჰექტარი სიმინდი, 6,6 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1960 წელს. კვადრატულ-ბუდობრივი წესით ნათესი მზესუმზრისა ფართობი მზესუმზრის მთელი ნათესი ფართობის 62 პროცენტზე მეტია.

ძლიერი გვალვის შედეგად თივის აღებისა და სილოსის ჩადების მიმდინარეობა ჩამორჩება 1960 წელთან შედარებით.

ხეხილის ბაღები გაშენდა 2 ათასზე მეტი ჰექტარი, ვენახი — 635 ჰექტარი და ჩაის პლანტაციები — 614 ჰექტარი.

1960 წლის პირველ ნახევართან შედარებით დამზადებულია 6 პროცენტით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს მიეყიდა ბოსტნეული — 58 პროცენტით, კენკროვანი ხილი — 2,7-ჯერ მეტი და მარცვლეული — 14-ჯერ მეტი.

გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მატყლის მიყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმა. არ შესრულებულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის გეგმა.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემდეგნაირად შეიცვალა:

	პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1961 წლის 1 ივლისისათვის — ათასი სული	პროცენტობით 1960 წლის 1 ივლისთან შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	705,0	101
აქედან ძროხა	178,1	105
ღორი	240,9	92
ცხვარი და თხა	1680,7	102

1960 წლის 1 ივლისთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 6,5 ათასი სულით, აქედან ძროხისა — 9 ათასი სულით; ცხვრისა და თხის სულადობა გადიდდა 38,1 ათასი სულით; ღორის სულადობა შემცირდა 8 პროცენტით. მთელი ფრინველის სულადობის საერთო შემცირებისას, კვერცხმდებელი ქათმის სულადობა გადიდდა 5 პროცენტით.

1961 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად შემცირდა ყველა სახეობის პირუტყვის სიკვდილიანობა 1960 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღჭურვა ტექნიკით. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წლის პირველ ნახევარში დიდი რაოდენობით შეიძინეს ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

III.

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო გეგმით წლის პირველ ნახევარში გამოყოფილი სახსრებიდან კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ მთლიანად რესპუბლიკაში 1961 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 129 მილიონი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით.

კაპიტალურმა დაბანდებებმა ობიექტებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო გეგმით, შეადგინა 107,8 მილიონი მანეთი და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 80 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 86 პროცენტით.

კაპიტალურმა დაბანდებებმა საბინაო მშენებლობაში წლის პირველ ნახევარში შეადგინა 21,9 მილიონი მანეთი. საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 1961 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით, ხოლო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემისა — 78 პროცენტით. წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 150 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და საბინაო მშენებლობის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, მისმა დარგობრივმა სამმართველოებმა და რესპუბლიკა, აგრეთვე რესპუბლიკის ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა შემდეგნაირად შეასრულეს:

1961 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი.

	კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობა	აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	საბინაო ლობა
სულ რესპუბლიკაში	80	86	95
აქედან:			
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები	80	86	95
მათ შორის:			
სახალხო მეურნეობის საბჭო	79	91	113
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	69	86	103
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	84	122	86
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	89	96	133
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	84	92	199
საშენი მასალების მრეწველობის სამმართველო	74	78	56
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	70	75	177
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	85	95	145
მაუბუქი მრეწველობის სამმართველო	74	80	86
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	96	110	136
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	104	92	134
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	96	121	—
საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტი	101	145	—
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	87	94	89
საქართველოს ნავთობის ტრესტი	101	105	110
ბიათურის მარგანეცის ტრესტი	86	88	116
საქართველოს ჩაის ტრესტი	68	73	64
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	79	97	—
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	67	68	—
საქართველოს კონსერვტრესტი	68	77	—
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	76	72	—
საქართველოს ცხიმეულეთერზეთოვანი მრეწველობის ტრესტი	70	55	—
საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი	88	74	140
საქართველოს ყველისა და კარაქის მრეწველობის ტრესტი	87	74	—
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	71	79	—
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	68	72	94
დამზადებათა სამინისტრო	68	70	—
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	76	81	—
მშენებლობის სამინისტრო	139	141	194
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	91	65	63
კავშირგაბმულობის სამინისტრო	95	87	—
ვაჭრობის სამინისტრო	96	98	100,0
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	63	67	14
განათლების სამინისტრო	47	52	47
კულტურის სამინისტრო	88	81	264
სატყეო მეურნეობის, ნაკრძალთა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო	78	65	24
საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო	99,0	60	227
გზატკეცილების მთავარი სამმართველო	80	57	38
გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	60	67	60
სასპორტო საზოგადოებათა კავშირი	41	45	108
ადგილობრივი საბჭოები	88	94	95

კაპიტალური დაბანდებანი გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა ნავთობის მრეწველობაში 23 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 3,8-ჯერ, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში — 58 პროცენტით, ხელსაწყოთმშენებლობაში — 41 პროცენტით, საავტომობილო მრეწველობაში — 6 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 73 პროცენტით, საშენი მასალების მრეწველობაში — 23 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 2.3-ჯერ, საფეიქრო მრეწველობაში — 2.4-ჯერ, კვების მრეწველობაში — 58 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 7 პროცენტით, ტრანსპორტში — 39 პროცენტით, კავშირგაბმულობაში — 38 პროცენტით.

მოიჯარე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა 1961 წლის პირველი ნახევრის გეგმა საკუთარი ძალებით შეასრულეს 89 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 103 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 87 პროცენტით, წყალთა მეურნეობის სამინისტროსი — 73 პროცენტით, გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა“ — 55 პროცენტით, მთავართბილისმშენმა — 102 პროცენტით, ტრესტმა „ინგმშენმა“ — 90 პროცენტით. რესპუბლიკის მოიჯარე ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 13 პროცენტით გადიდდა.

სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ჯერჯვან ყურადღებას არ უთმობენ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების სწორად და უფრო ეფექტიანად გამოყენებას. ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა არ შესრულებულა.

მშენებლობებზე არსებულ მანქანებსა და მექანიზმებს სრული სიმძლავრით ვერ იყენებენ. მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მშენებლობის ხარისხს. ამის შედეგად ზოგჯერ საჭირო ხდება შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა გადაკეთება.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 4,3 პროცენტით გადიდდა.

მაგრამ ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალება.

IV.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და მათი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში 1961 წლის პირველ ნახევარში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 40 ათასით გადიდდა.

მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობის საწარმოებში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვი გაიზარდა 27 ათასი კაცით.

სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მუშაკების რიცხვი გაიზარდა 9 ათასი კაცით, გაჯრობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებისა — 4 ათასი კაცით.

განვლილ ნახევარ წელიწადში მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 1.500 ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა, რომლებმაც დაამთავრეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს სასწავლებლები და სკოლები.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო მეურნეობაში ხორციელდებოდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება.

შარშან დამთავრდა მრეწველობის, მშენებლობის, გეოლოგიურ-სადაზვერვო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

განვლილ ნახევარ წელიწადში ხორციელდებოდა კავშირგაბმულობისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

შემდგომ გადიდდა შემნახველ სალაროებში მოსახლეობის ანაბრები, რომლებმაც 1961 წლის 1 ივლისისათვის შეადგინა 222 მილიონზე მეტი მანეთი და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 13 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის (გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის სასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობისა) საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ წლის პირველ ნახევარში შეადგინა 557,2 მილიონი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა, შესადარ ფასებში, 1.080 ათასზე მეტი მანეთით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობისა — 94 პროცენტით, საზოგადოებრივი კვებისა — 99 პროცენტით. სახელმწიფო ვაჭრობამ საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 97 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციამ, — რომელიც ახორციელებს სოფლად ვაჭრობას, — 89 პროცენტით.

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 94 პროცენტით, აჭარის ასსრ რესპუბლიკაში — 93 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 100 პროცენტით და ქალაქ თბილისში — 97 პროცენტით.

სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობის საშუალებით მოსახლეობას მიეყიდა 9 მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი.

მაშინ როცა საცალო საქონელბრუნვის გეგმა არ შესრულებულა, გადიდდა ცალკეული სასურსათო და არასასურსათო საქონლის გაყიდვა 1960 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

მეტი გაიყიდა, შესადარ ფასებში: 643 ათასი მანეთის ერბოკარაქი, 742 ათასი მანეთის რძე და რძის პროდუქტები, 707 ათასი მანეთის ყველი, 486 ათასი მანეთის კვერცხი, 2.428 ათასი მანეთის შაქარი, 621 ათასი მანეთის საკონდიტრო ნაწარმი, 2.591 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 2.694 ათასი მანეთის ტყავის ფეხსაცმელი, 1.872 ათასი მანეთის ავეჯი და სხვა სასურსათო და არასასურსათო საქონელი. შემცირდა ხორცისა და ხორცის პროდუქტების, ბამბეულის გაყიდვა.

1961 წლის პირველ ნახევარში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით მოსახლეობისათვის მისაყიდად გაგზავნილია მეტი ელექტრომტვერსასრუტები, სარეცხი და საკერავი მანქანები, ველოსიპედები, ტელევიზორები, პიანინოები, როიალები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონელი.

მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთ საქონლზე, როგორიც არის, კერძოდ, ელექტრომაცივრები, ცემენტი, შიფერი, რბილი სახურავი, სამასალე მერქანი, დახერხილი მასალა, სარეცხი და საკერავი მანქანები, ტელევიზორები, ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი და სხვა საქონელი, კვლავ ვერ კმაყოფილდებოდა მთლიანად. მრეწველობა და საავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ითვალისწინებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის მხრივ, რის შედეგადაც სავაჭრო ორგანიზაციების საქონლის მარაგი იზრდება.

შემდგომი წარმატებებია მიღწეული სახალხო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად გრძელდებოდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნისათვის.

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, მათ შორის მუშა, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა მიმდინარე სასწავლო წელს შეადგინა 703,7 ათასი კაცი წინა სასწავლო წლის 666,1 ათასის ნაცვლად. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაამთავრა სიმწიფის ატესტატი მიიღო 24 ათასზე მეტმა კაცმა.

ფართოვდება სკოლა-ინტერნატებისა და საწარმოო სწავლების საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლის ქსელი.

განვლილი სასწავლო წლის დამლევს რესპუბლიკაში იყო 41 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც სწავლობდა 10 ათასამდე კაცი, და საწარმოო სწავლების 450-ზე მეტი სკოლა, რომლებშიც საწარმოო სწავლებას გადის 9-10 კლასების 16 ათასზე მეტი მოსწავლე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები მიმდინარე წელს, უშვებენ 14 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს.

გადიდდა სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი და გაიზარდა მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი. 1961 წლის დამდეგს რესპუბლიკაში იყო 172 სამეცნიერო დაწესებულება, აქედან 87 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მათი ფილიალები და განყოფილებანი. მეცნიერ-მუშაკთა რიცხვი შეადგენდა 9.137-ს, მათ შორის მეცნიერებათა დოქტორია 430, მეცნიერებათა კანდიდატი — 3.207.

წლის პირველ ნახევარში დამთავრდა 5 ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული და 10 მოკლემეტრაჟიანი ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმის წარმოება, კინოდანადგართა რაოდენობამ ნახევარი წლის ბოლოს შეადგინა 1.301. კინოთეატრების მაყურებელთა რიცხვმა 23 მილიონს გადააჭარბა.

მიღწეულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა საავადმყოფოთა საწოლების მუდმივ სამბავშვო ბაგებში, აგრეთვე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ადგილების რიცხვი.

* * *

სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ, შვიდწლიანი გეგმის შესრულების წარმატებით მიმდინარეობას, მოწმობენ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, საქართველოს სსრ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

სტუმრად მ. ა. შოლოხოვთან

სტანიცა ვეშენსკაია, 23 ივლისი. (საკდესი). მ. ა. შოლოხოვის მიწვევით დონის სტანიცა ვეშენსკაიაში იყვნენ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, მათ შორის ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს სახალხო პოეტი გ. ნ. ლეონიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. ვ. მჭედლიშვილი, ქართველი მსახიობები, ჟურნალისტები.

მწერალმა სტუმრებთან ერთად კატარღით გაისეირნა დონზე, გააცნო მათ თავისი შემოქმედებითი გეგმები, დიდი გულითადობით ესაუბრა ქართულ ლიტერატურაზე, რუსი და ქართველი ხალხების ურღვევ ძმურ მეგობრობაზე.

სტანიცა ვეშენსკაიას კულტურის სახლში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მსახიობებმა და სტანიცის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა.

კინოხელოვნება მოვიდოზისათვის ბრძოლაში

პრემიები საუკეთესოებს

მოსკოვში დამთავრდა მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელმაც ჩაიარა დევიზით: „კინოხელოვნების ბუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“ ეს ფესტივალი მონაწილეთა რიცხვის მიხედვით უდიდესი იყო და მსოფლიო კინოხელოვნების დათვალიერებას წარმოადგენდა. აქ წარმოდგენილი იყო დედამიწის ყველა კონტინენტი, მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყანა. იმ ქვეყნების კინემატოგრაფისტები, რომლებსაც დიდად განვითარებული კინოწარმოება აქვთ, შეხვდნენ აქ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრი იმ ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებენ თავიანთი კინოხელოვნების განვითარებას.

9-დან 23 ივლისამდე გაისინჯა 251 ფილმი, მათ შორის 82 საკონკურსოდ წარდგენილი.

ფესტივალის მხატვრული, დოკუმენტური, მეცნიერულ-პოპულარული და მულტიპლიკაციური ფილმების ჟიურიმ საკონკურსოდ წარდგენილ ნაწარმოებებს შემდეგი პრემიები მიაკუთვნა:

მხატვრული ფილმების განყოფილება

დიდი პრიზი — ფილმებს „შიშველი კუნძული“ (იაპონია) და „მოწყენილი ცა“ (სსრ კავშირი).

ოქროს პრიზი — ფესტივალის ჟიურის სპეციალური პრემია — ფილმს „ყველანი შინ“ (იტალია).

ოქროს პრიზები — ფილმებს „პროფესორი მამლოკი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და „რა ახალგაზრდები ვიყავით“ (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა).

ვერცხლის პრიზები — ფილმებს „ალბა რეგია“ (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა), „წყურვილი“ (რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა); ფილმს „მოჩვენებანი შპესარტის ციხე-დარბაზში“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)—საუკეთესო კომედიური ფილმისათვის; არმან გატის — საუკეთესო რეჟისორისათვის (ფილმი „ბაკი“ — საფრანგეთი); მსახიობ იუი ლანს (ფილმი „რეგოლუციონერის ოჯახი“ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) — ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის; მსახიობებს პიტერ ფინჩს (ფილმი „ოსკარ უაილდის პროცესი“ — დიდი ბრიტანეთი) და ბამბანგ ჰერმანტოს (ფილმი „თავისუფლებისათვის მებრძოლნი“—ინდონეზია)—კაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის; ბოგუსლავ ლამბასს (ფილმი „ამაღამ დაიღუპება ქალაქი“ — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა)—საუკეთესო ოპერატორული მუშაობისათვის; ბილ კონსტენტს — დეკორაციები, ტერენ მორგანს — კოსტიუმები (ფილმი „ოსკარ უაილდის პროცესი“ — დიდი ბრიტანეთი) — მხატვრის საუკეთესო მუშაობისათვის ფილმში.

დოკუმენტური, მეცნიერულ-პოპულარული და მულტიპლიკაციური ფილმების განყოფილება

ოქროს პრიზი — ფილმს „დიდი ოლიმპიადა“ (იტალია)

ვერცხლის პრიზები — ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს — „ხომალდის დაბადება“ (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა), „სინათლე და ადამიანები“ (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა), მეცნიერულ-პოპულარულ ფილმს „ცხოვრების მდინარე“ (დიდი ბრიტანეთი), მულტიპლიკაციურ ფილმს „პარაზიტი“ (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა).

* * *

საბჭოთა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მთელი რიგი დამატებითი საპატიო დიპლომები და პრიზები დაანესეს ფესტივალის მონაწილე ფილმებისათვის.

კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა — ფილმს „ცეცხლი ფრონტის მეორე ხაზზე“ (ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა), „მდინარე ტუმანგანს“ (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა), ფილმ „ვილჰელმ ტელის“ რეჟისორ მიშელ დიუკოფს (შვეიცარია); სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა — ფილმს „მოთხრობები რევოლუციის შესახებ“ (კუბა); სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა კომპოზიტორ ხიკარ ხაიასის ფილმ „შიშველი კუნძულის“ (იაპონია) მუსიკისათვის; სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა — ფილმს „ჩანაწერები ემიგრაციის შესახებ. ესპანეთი, 1960“ (შვეიცარია); საზ

ვაჟა—ჩვენი სიამაყე

მთა იყო მგოსნის ჭრიბუნა

მთის არწივის სახელით დამკვიდრდა იგი ქართულ მწერლობაში. დამკვიდრდა, როგორც დიდი პოეტი ერისა და კაცობრიობისა.

არწივის თვალი შორსა ჭრის. ფართო იყო ვაჟას ხედვაც. ის ჩქარა მიხვდა ქართველს ბედს, ჩასწვდა მის ხვედრს და უმალვე განსაზღვრა თავის დანიშნულება, პოეტის მოწოდება.

ემღერებოდა და მღეროდა ვაჟა, სიმღერით ხვდებოდა იგი სიხარულს, სიმღერითვე გადაჰქონდა დარდი და მწუხრი. „შორს მიდის ჩემი გონება, ოცნება გამალებული“, წერდა ვაჟა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში. ის ცხადად გრძნობდა თავის სამღვთო მოვალეობას მშობლიური კუთხისადმი და მისთვის სურდა „საგმირო ჰანგები, სიტყვა და აზრი ციური“.

ვაჟა-ფშაველას ერთი აქვს მთავარი თემა: მთა და ბარი, ბუნება და ადამიანი. ფიზიკური ბუნების სამყარო მისთვის მხოლოდ გასაღებია ადამიანის ბუნების სამყაროსი. ბუნების მშვენიერების ფონზე ხსნის იგი ადამიანის სულს სილამაზეს, განცდებს, ფიქრსა და ოცნებას.

მთაში მან ადამიანი აღმოაჩინა, ადამიანში — მთა. ხალხისა და ბუნების სიმფონია იყო ვაჟას პროზისა და პოეზიის წყარო და საგანი. მთის ზვიადი გული ფეთქავს ვაჟას გმირების მკერდში ისე, როგორც ადამიანური სულით მოძრაობს მთა. ძნელია მსოფლო მწერლობაში მოიძებნოს ისეთი საოცარი ჰარმონია ადამიანისა და ბუნებისა, როგორსაც ამას ვხედავთ ვაჟას შემოქმედებაში.

მთის ნისლი ვაჟამ ადრევე შეიცნო მთის ფიქრად. მაგრამ უფრო ღრმად და მწვავედ იგრძნო მან ხალხის ფიქრი და მისი ყოფა-ცხოვრებითი და სოციალურ-ეროვნული ტკივილები. იგრძნო, რომ ამ ტკივილებს მძიმედ დაენისლა მისი დროის ფშავ-ხევსურეთი და მთელი საქართველო.

ადამიანის თავისუფლება, ადამიანის ღირსების დაცვა და ლაღი ცხოვრება იყო ვაჟას პირველი ამოცანა. ის კარგად ხედავდა როგორ იღვიძებდა მთაში კაცი და როგორ მწიფდებოდა კონფლიქტი პიროვნებასა და თემს შორის. ხედავდა როგორ იბრძოდა გამოფხიზლებული მისი ბოძმე და მეზობელი, რომ წელში გამართულიყო, თავისი ეთქვა და მოეთხოვა, ხედავდა პიროვნების ჭიდილს თემის დრომოჭმულ ზნესა და ადათებთან. ვაჟას უყვარდა ძველი წესები, მაგრამ ვაჟაკურად ეთხოვებოდა მათ და „ჯავრით ნაკვები სიტყვებით“ ამხნევებდა ახალ კაცს გაერღვია ზღუდე თემისა.

ვაჟა-ფშაველა სავსებით მართებულად ფიქრობს, რომ თავისუფლება არის არა მარტო ბრძოლის შედეგი, არამედ ბრძოლის პროცესიც და ამიტომ ბრძოლა მისი მოპოვებისათვის — თავისუფლების დასაწყისია. ამ მხრივ მართლაც თავისუფლები არიან მისი პერსონაჟები.

ვაჟა-ფშაველამ იცოდა, რომ ყოველ პიროვნებაში არის როგორც კერძო, ეროვნული, ისე საერთო, საკაცობრიო

ვაჟა-ფშაველას დაბადების მეასე წლისთავის სახალხო ღღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი რუსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ტიხონოვი** და მწერალი **ირაკლი ანდრონიკაშვილი.** სურათზე: (მარცხნიდან) ნიკოლოზ ტიხონოვი, სამონ ჩიქოვანი, ირაკლი ანდრონიკაშვილი თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ვაჟა-ფშაველა.

და შესანიშნავ ფერებში განაზოგადა პროვინციის ყოველი მაღალი ღირსება: სიმართლე, შრომა, გმირობა, თავმოყვარეობა, მეგობრობა, სიყვარული, ბუნების სიყვარული, მშობლების პატივისცემა. ეს ღირსებანი მან აიყვანა საკაცობრიო მორალის მარადიულ პრინციპებამდე, რომლებიც, ვაჟას წარმოდგენით თანაბრად ფასდება ყოველი კუთხისა და ქვეყნის ადამიანში, მტერსა და მოყვარეში.

ვაჟა დიდი ჰუმანისტია. ადამიანის სიყვარულით, მისი თავისუფლებისა და პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული ყოველი სტრიქონი დიდი პოეტისა და მოქალაქისა.

ამშია ვაჟას საერთაშორისო მნიშვნელობა.

ვაჟა გრძნობს, რომ გლეხკაცის ძალა მის სიმტკიცესა და ერთობაშია, რომ მხოლოდ ეს არის მისი გამარჯვების საწინდარი.

დაუცხრომელი, შეურიგებელი და თანმიმდევარი იყო იგი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ის ღირსეულად უმშვენებდა მხარს ამ ბრძოლის მეთაურს ილია ჭავჭავაძეს. ვაჟა ხედავდა, რომ მეფის ხელისუფლებას ჩვენი ეროვნული კულტურისა და მშობლიური ენის წახდენის მეტი არა მოუჭონდა რა და მის დასანგრევად ქუხდა პოეტის ჯავარიანი სიტყვა მეფისა და ბარში.

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ“.

გოდებდა ვაჟას აზრი, მაგრამ ქართველის ბედის სიმწარეს ვერ ურიგდებოდა პოეტი. უფრო მძიმე დრო დადგა მისთვის 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ერთხანს თითქოს დაცხრა ხალხის საბრძოლო ენერგია, დაიქსაქსა მებრძოლთა ძალები. ვაჟა-ფშაველა შედრკა. „ხელ-ფეხს უბოჭავს ბორკილი, გულზედაც ლოდი ედება, სტირის ჩუმადა, ქართულად, იწვება, ცეცხლი ედება“. აღარაფრად თვლის თავის სიტყვას და სიმღერას, რადგან „თქმა არის, საქმე კი არა“ და მის ქვეყანას ვეღარას ადგება. არ უნდა აღარც სიცოცხლე „უშინაარსო ტიალი“. რეაქციის სუსხიან დღეებში ის კვლავ ფშავის ხევ-ხევს მიმართავს და როცა ირგვლივ საიმედოს ვერავის ხედავს, სასოწარკვეთილი მოუწოდებს თავის საყვარელ გმირებს:

„მთასა, წყაროს და იასა,
ალუდას, ზვიადაურსა
და ლუხუმს თავაზიანსა,
ლელასა, შუბით დაჭურვილს,
კვირიას კონკებიანსა“

ვაჟა-ფშაველა.
მოქანდაკე ი. ოჩიაური.

* * *

წის ანგელოზები; შვლის პატარა ნუკრი დადის და შესტირის ხეებს, მთასა და კლდეებს, დასტირის წყალსა და ბალახს; დედა მოუკლა მონადირემ, ობოლია და ვინ იცის, ვინ დაეპატრონება, ვინ შეიღებავს მისი სისხლით ხელებს.

ვაჟას ფრინველები, მცენარეები, კლდეები, ღრანტეები, მთის ნიავი და ნაკადულები ადამიანებივით ფიქრობენ, განიცდიან, უყვართ, მეგობრობენ, უხარიათ, ტირიან და იცინიან; მათაც აქვთ და უყვართ თავისი ადგილ-ყურე, კუთხე მშობლიური.

ვაჟა-ფშაველა ბუნებას აღიქვამს, როგორც ერთიან ცოცხალ ორგანიზმს. ფიზიკური სამყარო მრავალგვარი არსებისაგან შესდგება, მაგრამ მათ შორის ისეთი ორგანული მთლიანობაა, რომ:

„ხევი მთას მონებს, მთა — ხევსა,
წყალი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ,
ყვავილნი — მიწას, და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ“.

რაღაც იდუმალი, ფატალური ძალით არის შეკრული ეს მთლიანობა. აქ ყველა ერთმანეთზეა დამოკიდებული, ერთმანეთით არსებობს, და ისე, რომ პატარა გნოლის სიკვდილი ან ღვიის მოწყვეტა, მართალია ამფოთებს ყველას, მაგრამ ვერ არყევს ამ მთლიანობას.

ლამაზია ბუნება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც არსებობს მისი მშვენიერების შემცნობი და განმცდელი ადამიანი.

გოეთე შესტრფის და უმღერის მთას, მაგრამ მისი მთა არა მარტო მშობელია ადამიანისა, არამედ სამარეც. მასთან მიწული და შეერთებული ადამიანი მასვე

ზმიდა ნაღვაწი შრომისა...

ვაჟა-ფშაველა ადამიანისა და ბუნების გენიალური მხატვარია. ვაჟას პოეზიის მთავარი სული გმირული პატრიოტიზმი და მაღალი ჰუმანიზმია. დიდი პოეტის სიმღერებში მომხიბლველად ისმის შრომის დიდება და სიყვარულის ჰიმნი.

ქართველი ხალხი ათეული საუკუნეების მანძილზე ერთი მხრივ ხმალს იქნევდა მოძალებული მტრის მოსაგერიებლად და მეორე მხრივ დაუცხრომლად შრომობდა თავისი უმშვენიერესი ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის ასაყვავებლად. თვით ვაჟა-ფშაველა, დილით რომ მთის სახნავ-სათიბს ოფლს აპკურებდა, საღამოს სულიერი ნათელის მომფენ ბრწყინვალე პოეტურ ნაწარმოებებს ქმნიდა. მან ღრმად იცოდა შრომის უდიდესი მნიშვნელობა და ხალისით აღსავსე შემოქმედ გარჯას დიდებას უმღეროდა.

დიდმა პოეტმა მთელ რიგ ლექსებში გუთნისდედის, მწყემსის, ხიდების მშენებლისა და სხვა საქმის მუშაკების მრავალმხრივი გარჯა და კეთილშობილური მისწრაფებები გამოხატა. მან „ალალის ოფლით“ მცხოვრებ და სამშობლოს წარმატებისათვის შეგნებულად მოამაგე გლეხს სიამაყით ათქმევინა:

„უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო
და გამოვკვებო ქვეყანა“.

„ეიღბლო იღბლიანში“ ვაჟამ წარმოსახა ყოვლად პატიოსანი მშრომელი, რომელიც მუდამ ერთგულად იღვწოდა, მაგრამ უკუღმართი სოციალური წყობილება „წყალს ატანდა“ ხამაგარსა და „შხამით და ნაღვლით აღეღებდა მის ქვეყანაზე რჩომასა“. წელთა სვლაში ჯან-ღონე უტყდებოდა, მაინც კვლავ ბეჯითად ეძებდა ბედნიერებას:

„მაინც მოელის კეთილსა,
გულში უდვავის ნუგეში,
ბედს ეძებს დაუცხრომელად
მსოფლიოს კალთა-უბეში“.

პოეტი მშრომელთა ღვაწლის ღირსეულად დაფასებას მოითხოვდა. იგი ლექსში „ჯეკილი“ სიამით შენიშნავს: „გლეხის მარჯვნის ნაჭრმაგევს ლამაზი უჩანს

ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘᲐ ᲩᲐᲠᲒᲐᲚᲘ...

ხვალ ჩვენი ვაჟა ასი წლის იქნება.

დიდი გულითადობით ემზადებიან დუშეთის რაიონის მშრომელები ამ თარიღისათვის. ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის შორეულ სოფლებში იმართება მგოსნის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექციები, მოხსენებები, საუბრები.

დიდი გამოცოცხლებაა პატარა ჩარგალში, საიდანაც ვაჟამ პოეზიის უზარმაზარი სამყარო დაგვანახვა. დამთავრდა გზის გაფართოება სახლ-მუზეუმამდე, მდინარე ჩარგალულაზე ააგეს ჯალი რკინაბეტონის ხიდი, შეაკეთეს მუზეუმის შენობა, გამდიდრდა გამოფენის ექსპონატები, მალე დამთავრდება სკოლა-ინტერნატისა და ახალი მაღაზიის მშენებლობა.

ზეიმის დღისათვის ჩამოასხამენ მინერალურ წყალს „ვაჟას წყაროს“.

დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამსვლელი სესია, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი.

სესიის შემდეგ სახალხო მთქმელებმა და პოეტებმა წაიკითხეს ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები.

27 ივლისს ვაჟას მშობლიურ სოფელ ჩარგალში მოეწყობა მიტინგი, რომელიც მიძღვნება ვაჟას დაბადების 100 წლისთავს. მოეწყობა დიდი სახალხო ზეიმი. გაიმართება დღიღი, ფარიკაობა, ქართული ჭიდაობა, ღია ესტრადებზე კონცერტები.

28 ივლისს დუშეთის კულტურის სახლში გაიმართება საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები, მსახიობები, სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან, გაიმართება დიდი კონცერტი.

(საკ. კორ.).

„ᲐᲠᲬᲘᲕᲘ“ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ საიუბილეო ღღეებთან დაკავშირებით თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ტ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲗᲐ ფრანგულ ენაზე თარგმნა პოეტის ათი ლირიკული ლექსი, მათ შორის „არწივი“, „ლამე მთაში“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „ხეზედ მიდიან ნისლები“, „სიტყვა ეული“, „ხმლის ჩივილი“... უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ საიუბილეო ღღეების ზეიმთან დაკავშირებით ეს თარგმანები გაგზავნა საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ინდოეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში.

ტ. ავალიანის თარგმანები წარმოდგენილი იყო საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მიერ მოწყობილ გამოფენაზე, რომელიც ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. თარგმანებმა მოლაპარაკეებს დაიმსახურეს. ამყარებენ ტ. ავალიანი მუშაობს ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ თარგმნაზე.

ᲕᲐᲟᲐᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲗᲕᲐᲚᲘ

ტრფობით ავსილის გულისთვის
ცა ღრუბლიანიც დარია.

გული სჭრის, გონება ზომავს,
ორნივ შენ გებარებიან.

სულ თავისაკენ რად ითლი,
ცოტაც ქვეყანას არგია.

ბეჩავს სჩაგრავენ, უფროსს — კი
ფეხს ჰლოკვენ, როგორც ფინია.

ჩუმად გატირებს ვაჟკაცსა
ჯავრი გულს გადამდინარი.

რა მზე გაათბობს
მყინვარეს მთასა?

ბარტყების დედას ქვეყანა
თავის სახლ-კარი ეგონა.

ვინ უპატრონებს ჩემს ბღარტებს,
თუ არ მივხედე თავადა.

რად მინდა, რადა, სიცოცხლე
მოწამლულისა გულითა.

დამლოცვენ, მომიგონებენ,
თუ კეთილს გზაზე დავდგები.

ეს ვინ არ იცით, კაცებო,
მზეს ვინა ჰნახავს უთვალოდ.

არ ვარგა ერთურთის კილვა,
უგზოდ სიტყვების რახუნი.

წუთისოფელი ასეა:
ღღეს — ტკბილი, ხვალე მწარეა.

ვინ აატიროს, თუ არ ძე,
სნეულის მშობლის კვნესამა?!

მისგან რა კეთილს მოელით,
ვინც გულ-გონებით მჭისია?!

მადლსა ჰსურს ცოდვა დაჩაგროს,
ცოდვა კეთილის ადლია.

სიტკბოს რა დაჰლევს ქვეყნადა
მანამდე ჰსუფევს მწარია?

ულრუბლოდ განა არ იცით,
სად რა მოიყვანს წვიმასა?!

ხომ იცი, უყვარს დედასა
შვილი დამდგარი ცდაზედა.

კაცია ყველას წამალი,
მიწა რას გვარგებს მთიანი.

კვიცმა რა იცის ყალხისა,
თუ კი არა ჰყავს მხედნელი?!

რად უნდა იმას სიცოცხლე,
ვინ ქვეყნის იმედს უმტყუნა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲮᲕᲐᲚ, 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲐ

1861-1961

ლათინური ამერიკის ვაქკაცური გული

კუბა ჰო, იანკი არა! ამ დევიზით მიმდინარეობს ყველა ქვეყანაში კუბასთან სოლიდარობის კვირეული, რომელიც ეწყობა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადწყვეტილებით.

ხვალ კი დიდი ზეიმია კუბაში. რვა წლის წინათ — 1953 წლის 26 ივლისს კუბელი ხალხის ეროვნული გმირი ფიდელ კასტრო და მისი თანამებრძოლები პირველად გამოვიდნენ იარაღით ხელში უცხოელი იმპერიალისტებისა და შინაგანი რეაქციის წინააღმდეგ და ეს მამაცური, თავგანწირული გამოსვლა უსამართლობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ გახდა იმ რევოლუციური ქარტიელების დასაწყისი, რომლებიც შემდეგ, 1959 წლის იანვარში, კუბელი ხალხის დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

უკანასკნელი პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს შორის თავისი შინაარსით ყველაზე ღრმაა კუბის სახალხო რევოლუცია. კუბის რევოლუციის გამარჯვებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მან დაწყვიტა ლათინურ ამერიკაში ამერიკის კოლონიალიზმის ბორკილები, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, საკუთარი ძალების რწმენა ჩაუნერგა ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩაგრულ ხალხებს, დასაწყისი მისცა ამ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის ბატონობის ლასასრულს.

კუბაში სახალხო რევოლუციამ დაანგარა დიქტატურის მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი და შექმნა ეროვნული რევოლუციური ხელისუფლება, რომელიც რევოლუციური ხალხის ინტერესებსა და ნებას გამოხატავს. კუბაში შექმნილია ახალი სახალხო არმია, რომლის მეთაურთა შემადგენლობის მეტ ნაწილს შეადგენდნენ ხალხის მასებიდან — მუშებიდან და გლეხებიდან გამოსულნი. დემოკრატიულ პარტიებს, მათ შორის კომუნისტურ პარტიასაც, რომელსაც კუბაში სახალხო-სოციალისტური პარტია ეწოდება, ლეგალური მოღვაწეობის შესაძლებლობა მიეცათ. ყველა პარტია, რომელიც თანამშრომლობდა გენერალ ბატისტასთან ან მხარს უჭერდა მას, აკრძალულია.

რევოლუციურმა მთავრობამ დამნაშავეებს ჩამოართვა უკანონოდ შეძენილი ქონება 400 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულებისა, აგრეთვე კაპიტალები და საწარმოები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებს ეკუთვნოდა და რომელთა ღირებულება 1 მილიარდ დოლარს აღემატებოდა. ყველა ისინი კუბელი ხალხის საკუთრებად აქცია. ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოებისა და საკუთრების ნაციონალიზაციამ, რაც შარშან განხორციელდა, გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა უცხოეთის კაპიტალის ეკონომიურ ბატონობას კუბაში. კუბა ეკონომიურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელ ქვეყნად გადაიქცა.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1959 წლის მაისში მიღებული აგრარული რეფორმის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ლატიფუნდიების და მიწაზე უცხოელთა საკუთრების ლიკვიდაციას, უზრუნველყოფს მიწის უსასყიდლოდ გადაცემას გლეხებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის, სპობს იჯარის ყველა ფორმას.

კუბაში აგრეთვე განხორციელდა საქალაქო რეფორმა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და სხვ. ამჟამად ყველა ეკონომიური ბერკეტი სახალხო ხელისუფლების ხელშია.

კუბელმა ხალხმა აღფრთოვანებით მიიღო რეაქციონერული მთავრობის ღონისძიებანი და თავდადებით იბრძვის მათი განხორციელებისათვის. ეს ბრძოლა შემადგენელი ნაწილია მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძოლისა ისტორიის მიერ განწირული კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის. დემოკრატიული წესების დამყარებამ კუბის მიწაზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ამერიკის იმპერიალისტური წრეების უდიდესი გაოფორება გამოიწვია. ისინი ახორციელებენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ზეგავლენას კუბაზე, ყოველი ღონით ცდილობენ მოახდინონ მისი იზოლაცია ლათინური ამერიკისა და სხვა ქვეყნებისაგან, ჩაახშონ კუბის ეკონომიკის განვითარება, ფეხქვეშ თელავენ რა საერთაშორისო ურთიერთობის ელემენტაურულ ნორმებს, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ომის პირდაპირ მუქარას შიმართავენ, აწყობენ ავიაციის შეკობრულ თავდასხმებს, მხარს უჭერენ კუბის ტერიტორიაზე კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედ კონტრრევოლუციურ ჯგუფებს, ქმნიან ბაზებს კუბაზე თავდასხმისათვის. ამ სამი თვის წინათ მთელ მსოფლიო აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა მოქმედებამ კუბის მიმართ, სსრ კავშირის მტკიცე პოზიციამ, მთელი პროგრესული კაცობრობის პროტესტმა და კუბელი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ სამშობლოს დასაცავად ჩაშალა ამერიკის იმპერიალისტების აგრესიული ავანტიურა.

კუბაზე ამერიკის აგრესიის ჩაფუშვამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ახლა სულ სხვა დროა. ახლა მსოფლიო რეაქციის მთავარი დასაყრდენისა და საერთაშორისო ავანდარმის, მთელი მსოფლიოს ხალხთა მტრის — ამერიკის იმპერიალიზმის დრო წასულია. კუბის სახალხო რევოლუციამ გაიმარჯვა იმ მომენტში, როცა მსოფლიო ასპარეზზე უდიდესი ცვლილებები მოხდა დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირმა დახმარების ძმური ხელი გაუწოდა კუბის ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, კუბის რესპუბლიკას 100 მილიონი დოლარი კრედიტი მისცა. შარშან დეკემბერში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება მიმდინარე წლისათვის საქონელგაცვლის შესახებ, რაც წარმატებით ხორციელდება.

„ანთებული კუნძული"—ასე შეარქვეს კინორეჟისორებმა კუბას და შექმნეს ამავე სახელწოდების დოკუმენტალური ფილმი კუბაზე. და მართლაც, ეს თავისუფლებისათვის ბრძოლით ანთებული ქვეყანა შუქურა, ჩირაღდანია მთელი ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებისათვის. იგი არასოდეს არ ჩაქრება, რადგან მისმა ხალხმა სწორად გაიგო თავისი ისტორიული მისია. იგი მარად იკიაფებს კარიბის ზღვის აუზში შუქურვარსკვლავად, რადგან მან თავისი ადგილი კანონიერად დაიკავა მშვიდობისათვის, პროგრესისათვის მებრძოლ ძალთა თანამგზავრსკვლავედში.

კუბის სახალხო რევოლუციის საქმე უძლეველია!

* * *

სურათზე: ფიდელ კასტრო.

ორი სპარტაკიადის ფინალი

გასულ კვირადღეს მოსკოვის იპოდრომი საზეიმოდ იყო მორთული. აქ ათეულ ათასობით მაყურებელი ესწრებოდა ტექნიკური სპორტის სახეობებში პირველი სპარტაკიადის ფინალის გახსნას.

დასკვნითს შეხვედრებს, რომლებიც, გარდა მოსკოვისა, მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, წინ უძღოდა საწარმოთა, სარაიონო, საქალაქო. საოლქო, რესპუბლიკური სპარტაკიადები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 14 მილიონზე მეტმა სპორტსმენმა — ავტო და მოტომრბოლმა, პარაშუტისტმა, მსროლელმა, ავიამოდელისტმა, რადისტმა და ტექნიკური სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენელმა.

რამდენიმე ქალაქში უკვე დამთავრდა შეხვედრები. მაგალითად, უჟგოროდში გამოვლინდნენ მოტორბოლაში გამარჯვებულები. ესენი იყვნენ ლენინგრადელები. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი.

„დინამო" დიდი ტრადიციის სპორტული საზოგადოებაა. მის რიგებში არის ჩვენი ქვეყნის ბევრი სახელმოხვეჭილი სპორტსმენი — რეკორდსმენი, ჩემპიონი. ამიტომ ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.

სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნა დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე. აქვე გაიმართა სხვადასხვა შეხვედრები. 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის უძლიერესი იყო მ. იტკინა, რომელმაც აჩვენა დრო — 11,8 წამი. 80 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილი დაიკავა ი. პრესმა შედეგით 10,8 წამი.

სპორტის სხვა სახეობებთან ერთად მოწყო შეხვედრები წყალბურთში. წარმატებით გამოდიან თბილისის დინამოელები, რომლებმაც ოთხი შეხვედრა მოიგეს ზედიზედ.

სპარტაკიადა გრძელდება.

ტორპედოელთა მატჩი თასზე

სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივი ჩაება თასის გათამაშებაში. პირველი შეხვედრა ტორპედოელებს ჰქონდათ ტაგანროგში, თავიანთ ტაგანროგელ თანაკლუბელებთან, მატჩის შედეგია 2:1 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ლონდონი, 23 ივლისი. საკადესის კორესპონდენტი **ბ. იურინოვი** იუწყება: დღეს აქ დამთავრდა ყოფილ გერმანელ სამხედრო ტყვეთა შეკრება, რომელიც გადაიქცა საზიზღარ ანტისაბჭოთა და მილიტარისტულ დემონსტრაციად. ფილადელფიაში მიუნხენის საგამოფენო პარკის ერთ-ერთ პავილიონში მიტინგზე შეეკრიბნენ ეგრეთწოდებული „სტალინგრადელ მეომართა კავშირის" წევრები. არც ერთი სიტყვა წარსულის დაგმობისა, არც ერთი საპროტესტო სიტყვა ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ! მაგრამ, როცა მიტინგის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კორესპონდენტებმა მოელი რიგი შეკითხვებით მიმართეს თავმჯდომარეს, გაიმართა გაცხოველებული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სტალინგრადის ბრძოლების ათობით მონაწილე გერმანელმა. ამ საუბარს გულახდილი ხასიათი ჰქონდა და ცხადყო, რომ ალად მოაზროვნე ადამიანებთან ერთად ბევრი კვლავ ტყვეა რეაქციული ანტისაბჭოთა პროპაგანდისა, რასაც ადრე ეწეოდნენ ჰიტლერელები, ხოლო ონლა ახლა ეწევიან დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები. ბევრი ყოველნაირად ჭებას ასხამს თავისუფლებას, რომელიც თითქოს არსებობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და თითქოს არ არსებობს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ჟურნალისტებმა ვერც კი მოასწრეს დაემტკიცებინათ საწინააღმდეგო, მათ ნაცვლად ამის დამტკიცება იჩქარა... დასავლეთ გერმანიის პოლიციამ. გაცხარებული საუბრის დროს დარბაზში შემოვიდნენ პოლიციელები, რომლებმაც საკადესის, „იზვესტიისა" და ჩეხოსლოვაკიის რადიოს კორესპონდენტებს მოსთხოვეს საბუთები და წაიყვანეს საპოლიციო უბანში.

სიტყვა „თავისუფლება" მსჯელობის საგანი იყო შეკრების დასკვნითს მიტინგზეც. მაგრამ გამოსვლებმა ცხადყვეს, თუ რა იმალება თავისუფლებისა და თვითგამორკვევის მოთხოვნებში. „სამშობლოში დაბრუნებულ პირთა გაერთიანების", თავმჯდომარემ ჰაიმესჰოფმა პირდაპირ მოუწოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას „არ შეეშინდეს არავითარი რისკისა", რომ განახორციელოს თავისი რევანშისტული მოთხოვნები. მან მოუწოდა გამოიჩინოს „სიმტკიცე", „უარი არ თქვას ძალმომრეობაზე". ჰაიმესჰოფმა განაცხადა, თითქოს გერმანიის მშვიდობას ემუქრება საბჭოთა კავშირი და მხარი დაუჭირა „ძალის პოზიციის" პოლტიკას, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს. „თქვენ, ბ-ნო ფედერალური კანცლერო, — განაცხადა მან, მიმართა რა დარბაზში მყოფ კანცლერ ადენაუერს, — ლაპარაკობთ ენით, რომელიც ესმის კრემლს; ეს ერთადერთი ენაა, რომელიც მას ესმის".

თითქოს ამის პასუხად, კანცლერმა ადენაუერმა თავისი გამოსვლა დაიწყო ამით, რომ ბრალად დასდო საბჭოთა კავშირს გერმანელ სამხედრო ტყვეთა „დაკავება".

ადენაუერმა ბევრი ილაპარაკა ბონის „მშვიდობიან" ზრახვებზე, არ შეებუნებულა ომის გამო, რომ ეს დეკლარაციები ეწინააღმდეგებიან ფაქტებს.

თავყრილობა მიუნხენში

ტელეგრაფი გვატყობინებს

სისხლიანი ამბები მონტევიდეოში

ბუენოს-აირესი, 22 ივლისი. (საკადესი). გაზეთი „კლარინი" იუწყება, რომ არგენტინის მთავრობამ ეროვნული კონგრესის სენატში შეიტანა ეგრეთწოდებული „დემოკრატიის დაცვის კანონის" პროექტი. თუ ამ კანონპროექტს მიიღებენ, არგენტინაში აკრძალავენ კომუნისტურ პარტიასა და სხვა პროგრესულ ორგანიზაციებს.

რეაქცია — შეტევაზე

ბუენოს-აირესი, 22 ივლისი. (საკადესი). გაზეთი „კლარინი" იუწყება, რომ ეროვნული კონგრესის მთავრობამ ეროვნული კონგრესის სენატში შეიტანა ეგრეთწოდებული „დემოკრატიის დაცვის კანონის" პროექტი. თუ ამ კანონპროექტს მიიღებენ, არგენტინაში აკრძალავენ კომუნისტურ პარტიასა და სხვა პროგრესულ ორგანიზაციებს.

რასისტები თავხედობენ

ვაშინგტონი, 22 ივლისი. (საკადესი). რასისტულმა თარეშმა ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო თავხედური ფორმა მიიღო. მისგან დაცული არ არიან უცხოელი დიპლომატებიც, რომელსაც თითქმის ყოველდღე აყენებენ შეურაცყოფას თვით ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი" იუწყება რასისტთა ახალ საზიზღარ გამოხდომის შესახებ. აფრიკის ქვეყნების მთელმა რიგმა საელჩოებმა „თავისუფალი სამყაროს" ამ დედაქალაქში ფოსტით მიიღეს ღია ბარათები, რომლებზეც გამოსახული იყო ფაშისტური სვასტიკა. ღია ბარათებზე დაწერილია: „გაუმარჯოს აპარტეიდს!", ესე იგი სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში ოფიციალურად გამოცხადებულ რასისტულ პოლიტიკას. ღია ბარათებზე, რომლებიც მიიღეს გვინეის, ნიგერიის, სიერა-ლეონის ნაპირისა და სენეგალის საელჩოებმა, გამგზავნის მისამართად აღნიშნულია ქალაქ არლინგტონის ამერიკის ნაციონალისტური პარტიის მთავარი ბინის მისამართი.

ორ ახალგაზრდობის დიდი ფორუმი

ყველა კონტინენტის ახალგაზრდობის თვალი მიპყრობილია მოსკოვისადმი, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქისადმი. აქ დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნება დედამიწის ახალგაზრდობის ფორუმ წარმომადგენლობითი ასამბლეა — ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმი. მან მეგობრულ, ამხანაგურ ატმოსფეროში უნდა განიხილოს პრობლემები, რომლებიც აღელვებენ ჩვენი დროის ახალგაზრდა თაობას.

როგორია ამ უდიდესი შეხვედრის მიზნები, რა ამოცანებს ისახავს იგი, რა მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ფორუმში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა? საქდესის კორესპონდენტის ამ კითხვაზე სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა:

„კეთილშობილური და ჰუმანურია მსოფლიო ფორუმის იდეები. ცნობილია, რომ სხვადასხვაგვარი წარმოდგენა არსებობს იმის შესახებ, თუ რა აღელვებს ჩვენი დროის ახალგაზრდობას, ბურჟუაზიის იდეოლოგებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე, განსაკუთრებით ომისშემდგომ ახალგაზრდობას არაფერი არ აინტერესებს, გარდა იმისა, რომ იზრუნოს სიამოვნებისა და გართობისათვის. ნამდვილად კი სწორედ ახალგაზრდობა წარმოადგენს ყველა ქვეყანაში ყველაზე აქტიურ, შეგნებულ და ორგანიზებულ ძალას. ნამდვილი ახალგაზრდობა ყოველთვის ცხოვრობდა თავისი ხალხის ცხოვრებით, მისი სიხარულითა და მწუხარებით, მისი ზრუნვით მშვიდობის, ბედნიერებისა და პროგრესისათვის.

საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მონაცემებით, ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ 91 ქვეყნის 350 ორგანიზაციის წარმომადგენლები — თითქმის 700 კაცი.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. პ. პავლოვი, არიან ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლებიც — პოეტი ჯ. ჩარკვიანი — საქართველოს სსრ ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე და მე.

ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ფორუმის სხვადასხვა კომისიის მუშაობაში, გამოვალთ დისკუსიაში თემაზე „ახალგაზრდობა, ურთიერთგაგება, თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა".

ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმეთ საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მიწვევას — გავგზავნოთ მოსკოვს ჩვენი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები. ფორთო, მრავალფეროვან პროგრამას უზრუნველებენ ფორუმის მონაწილეთა ახალგაზრდა მოცეკვავეები — თბილისის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. დარასველიძე) სოლისტები. მოცეკვავეებთან ერთად გამოვლენ საინსტრუმენტო კვარტეტი, მომღერლები, ქართული ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტების დამკვრელები.

ჩვენს ჯგუფს თან მიაქვს ალბომები, დასურათებული გამოფენები საბჭოთა საქართველოს შესახებ, მისი ხალხის ცხოვრების შესახებ, ბევრი სუვენირი. მოსკოვში შევხვდებით სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

ფორუმის მუშაობის დამთავრების შემდეგ მოვიწვევთ მის მონაწილეთა დიდ ჯგუფს, რათა უფრო ახლო გავაცნოთ მათ ჩვენი მხარე, ქართველი ხალხის ახალგაზრდა თაობის საქმეები და მისწრაფება.

(საკადესი).

* * *

სურათზე: ფორუმის მონაწილენი, ჩამოსულნი ლიბანიდან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან, განიდან, ავსტრიიდან, ლაოსიდან და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

ფოტო ლ. პორტერისა.
(საკადესის ფოტოქრონიკა).

მდგომარეობა ბიზერტაში

ისეთი სახელმწიფო, რომლებიც აიძულებენ მიიღონ გადაწყვეტილება ტუნისის

ტუნისი, 22 ივლისი. (საკადესი). ტუნისის პრეზიდენტმა ხაბიბ ბურგიბამ, რომელიც დღეს რადიოთი გამოვიდა, განაცხადა, რომ ტუნისელი ხალხის ბრძოლა ბიზერტის განთავისუფლებისათვის გრძელდება და რომ წინააღმდეგობას გაუწევს სანამ საქმის მოწესრიგება არ იქნება მიღწეული დიპლომატიური გზებით. ბურგიბამ თქვა, რომ იგი მუდამ მზად არის განიხილოს ტუნისის ტერიტორიიდან საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ევაკუაციის საკითხი. ბურგიბამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთი აგრესორია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი დარჩა ტუნისის ტერიტორიაზე ტუნისელი ხალხის ნების წინააღმდეგ და, მეორეც, იმიტომ, რომ იგი თავს დაესხა ტუნისის ბარიკადებსა და ეროვნულ გვარდიას.

პრეზიდენტმა ბურგიბამ თქვა, რომ იგი სინანულს გამოთქვამს იმ პოზიციის გამო, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა დაიკავეს უშიშროების საბჭოში ტუნისის საჩივრის განხილვის დროს. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მათ გაუწიეს ტუნისის საქმეს უშიშროების საბჭოში. მან რწმენა გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე იქნება ბევრი სასარგებლოდ.

ტუნისი, 23 ივლისი. (საკადესი). 670 ტუნისელი დაიხოცა და 1155 დაიჭრა ბიზერტაში წარმოებული ბრძოლების დროს ნათქვამია ოფიციალურ ცნობაში, რომელიც დღეს გამოაქვეყნა ტუნის — აფრიკ პრესის საგენტომ.

საფრანგეთის აგრესიის მსხვერპლთა შორის ბევრია ამ ქალაქის მშვიდობიანი მცხოვრები.

ტუნისი, 23 ივლისი. (საკადესი). ბიზერტაში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ სანიტართა სპეციალურ რაზმებს მიაქვთ მოკლულთა გვამები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ეყარნენ ქალაქის ქუჩებში. საფრანგეთის აგრესიის მსხვერპლთა შორის ბევრია ბიზერტის სამოქალაქო მოსახლეობის წარმომადგენელნი.

ქალაქის არაბულ ნაწილს, რომელშიც საფრანგეთის ჯარები ვერ შევიდნენ, მთლიანად კონტროლს უწევენ ტუნისის ხელისუფლები. აქ ცხოვრობს ქალაქის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი.

ტუნისი, 24 ივლისი. (საკადესი). როგორც ბიზერტიდან იუწყებიან, ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც ფრანგებმა დაიკავეს, საფრანგეთის სამხედრო პირთა თვითნებობაა. ტუნის-აფრიკ პრესის საგენტო აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ჯარისკაცები ჩადიან ბანდიტიზმსა და მძარცველობას. ქალაქი განიცდის სასმელი წყლის მწვავე ნაკლებობას, დარღვეულია ელექტრომომარაგება, მწიფდება სურსათის კრიზისი. მოდუნებულია ქალაქის კომუნალური მეურნეობა. ქუჩებში არტილერიის ცეცხლით მოთხრილი ხეები და საფარნე კბილანი.

ქალაქისაკენ მიმავალ გზებზე საფრანგეთის ჯარისკაცები და ტანკები პატრულობენ.

ტუნისი, 24 ივლისი. (საკადესი). გუშინ საღამოს კასბას მოედანზე გაიმართა ბიზერტაში საფრანგეთის აგრესიის მსხვერპლთა დაკრძალვა. 100 ათასი ტუნისელი მოვიდა მოედანზე, რომ გამოთხოვებოდნენ ტუნისის საუკეთესო შვილებს. შეკრებილთა შორის იყვნენ პრეზიდენტი ბურგიბა, მთავრობის წევრები, „ნეოდესტურის" პარტიის წამყვანი მოღვაწეები.

სამგლოვიარო ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ბურგიბამ. პატივი სცა რა დაღუპულ გმირთა ხსოვნას. ბურგიბამ თქვა, რომ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა ბიზერტაში შეწყდა ცეცხლი. ბრძოლა, თქვა პრეზიდენტმა, კიდევ რამდენიმე ფაზას გაიცვლის, სანამ სრული ევაკუაციით დამთავრდებოდეს.

პრეზიდენტმა მოუწოდა ტუნისელ ხალხს ფხიზლად იყოს. თუ საფრანგეთის მხარე, თქვა მან, არ შეასრულებს ბრძანებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ტუნისელები იძულებული იქნებიან შესაბამისი რეაგირება მოახდინონ ამაზე.

ახალგაზრდობის დიდი ფორუმი

ყველა კონტინენტის ახალგაზრდობის თვალი მიპყრობილია მოსკოვისადმი, საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქისადმი. აქ დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნება დედამიწის ახალგაზრდობის წარმომადგენლობითი ასამბლეა — ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმი. მან მეგობრულ, ამხანაგურ ატმოსფეროში უნდა განიხილოს პრობლემები, რომლებიც აღელვებენ ჩვენი დროის ახალგაზრდა თაობას.

როგორია ამ უდიდესი შეხვედრის მიზნები, რა ამოცანებს ისახავს იგი, რა მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ფორუმში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა? საქდესის კორესპონდენტის ამ კითხვაზე სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა საქართველოს ალკგ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა:

„კეთილშობილური და ჰუმანურია მსოფლიო ფორუმის იდეები. ცნობილია, რომ სხვადასხვაგვარი წარმოდგენა არსებობს იმის შესახებ, თუ რა აღელვებს ჩვენი დროის ახალგაზრდობას, ბურჟუაზიის იდეოლოგებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე, განსაკუთრებით ომისშემდგომ ახალგაზრდობას არაფერი არ აინტერესებს, გარდა იმისა, რომ იზრუნოს სიამოვნებისა და გართობისათვის. ნამდვილად კი სწორედ ახალგაზრდობა წარმოადგენს ყველა ქვეყანაში ყველაზე აქტიურ, შეგნებულ და ორგანიზებულ ძალას. ნამდვილი ახალგაზრდობა ყოველთვის ცხოვრობდა თავისი ხალხის ცხოვრებით, მისი სიხარულითა და მწუხარებით, მისი ზრუნვით მშვიდობის, ბედნიერებისა და პროგრესისათვის.

საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მონაცემებით, ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ 91 ქვეყნის 350 ორგანიზაციის წარმომადგენლები — თითქმის 700 კაცი.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს სრულიად საკავშირო ალკგ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. პ. პავლოვი, არიან ქართველი ახალგაზრდობის წარმომადგენლებიც — პოეტი ჯ. ჩარკვიანი — საქართველოს სსრ ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე და მე.

ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ფორუმის სხვადასხვა კომისიის მუშაობაში, გამოვალთ დისკუსიაში თემაზე „ახალგაზრდობა, ურთიერთგაგება, თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა".

ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმეთ საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის

ტროვნული ბიბლიოთეკ

საბჭოთა ნაკრების სამი გამარჯვება

სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები ემზადება მომავალი დიდი ასპარეზობისათვის — „იტალიის თასის" გათამაშებისათვის, რომელიც 5 აგვისტოს დაიწყება მოსკოვში. ჩვენი წყალბურთელებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან სამი საერთაშორისო შეხვედრა დიდი ტურნირის წინ ძალთა შემოწმება და გენერალური რეპეტიცია იყო.

ეს შეხვედრები გაიმართა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურავ აუზში. სსრ კავშირის ნაკრების რიგებში იყვნენ — გოგოლაძე, ჩიქვანაია, კურენოი, გრიგოროვსკი, მშვენიერაძე, სემიონოვი.

სამივე მატჩში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ. სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო პირველი მატჩი 3:1, მეორე — 3:2, ხოლო მესამე ასპარეზობა, რომელიც გასულ კვირადღეს შედგა — 6:4.

სსრ კავშირის პირველობაზე

23 და 24 ივლისს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე წრის მატჩები ფეხბურთში.

მოსკოვში ადგილობრივი დინამოელები შეხვდნენ თავიანთ კიეველ თანაკლუბელებს. მატჩი აღინიშნა მოსკოველთა უპირატესობით და დამთავრდა მითი ვე გამარჯვებით 5:0. ორი ბურთი თავიანთ კარში გაიტანეს საბომ და კოლოსოვმა. მოსკოველთა კარს იცავდა ლ. იაშინი.

ლენინგრადში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი თამაშობდა „ზენიტის" წინააღმდეგ. მატჩის შედეგია 2:1 ცსკა-ს სასარგებლოდ.

მოსკოვში სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონის დედაქალაქის „სპარტაკისა" და მინსკის „ბელარუსის" შეჯიბრება დამთავრდა „სპარტაკის" გამარჯვებით 3:0.

ალმა-ათაში თამაშობდნენ ადგილობრივი „კაირატისა" და ტალინის „კალევის" გუნდები, შეხვედრის შედეგია 3:0 „კაირატის" სასარგებლოდ.

კომუნისტი

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ოლიმპიადა

საბჭოთა მოფარიკავეებს — 6 ოქროს მედალი

ტურინში დამთავრდა მსოფლიოს გუნდური პირველობის გათამაშება ქალთა შორის რაპირით ბრძოლაში. ეს შეჯიბრება აღინიშნა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით, რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მან დაამარცხა უნგრეთის გუნდი ანგარიშით 9:4. მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრეთის გუნდი, მესამეზე — რუმინელ მოფარიკავეთა კოლექტივი.

საბჭოთა მოფარიკავე, ქალებს — ა. ზაბელინას, ვ. რასტვოროვას, გ. გოროხოვას, ტ. ლუბეცკაიას, ვ. პრუდსკოვასა და მ. ილუკევიჩს გადაეცათ ოქროს მედლები.

კ. წაქაძე — პირველ ადგილზე

ზაფხულის თვეებში ლენინგრადელები საინტერესო ასპარეზობის მოწმენი არიან. ეს არის ტრამპლინიდან ხტომა. ბუნებრივი თოვლის ნაცვლად მაყურებლები ხედავენ პლასტმასის ფხვნილს, სადაც სპორტსმენები თითქმის ისევე აწყობენ შეჯიბრებას, როგორც ზამთარში თოვლზე.

ასეთი სახის შეხვედრა ლენინგრადში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა მონაწილეობით გაიმართა 22 და 23 ივლისს. ასპარეზობაში სხვებთან ერთად გამოდიოდა საქართველოს წარმომადგენელი ბაკურიანელი კობა წაქაძე. პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ იგი ლიდერი იყო. კ. წაქაძემ მეორე დღესაც წარმატებით ჩაატარა ხტომა და საერთო პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ავსტრიელი სპორტსმენი ი. სამსონოვი.

საერთაშორისო შეხვედრები ფეხბურთში

კიშინიოვში ადგილობრივი „მოლდოვას" წინააღმდეგ თამაშობდა პეკინის ნაკრები. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 1:0.

ბაკოში ერთმ